მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი და ადამიანის მოდელი ორთოდოქსალურ ეკონომიკურ თეორიაში

თამილა არნანია-კეპულაძე
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamila.arnania@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.011

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ადამიანი, ეკონომიკური ქცევა, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი, ადამიანის მოდელი, ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია

შესავალი

დღეს სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად არის განპირობებული ეკონომიკის მიკრო-დონეზე ფუნქციონირების თავისებურებებით და იმ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც იღებენ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები. ასეთი შეხედულება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ე.წ. „ლუკასის კრიტიკის" („Lucascritique", 1976 წ.) შედეგად. რობერტ ლუკასის (Robert Lucas, დაიბ. 15.09.1937) თანახმად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ისეთი „სიღრმისეული პარამეტრების" გათვალისწინება, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევა და სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით უნდა იქნას განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები [8]. ინდივიდუალური ქცევა წარმოგვიდგება ეკონომიკური მოვლენების არსის გაგების ძირითად ელემენად. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანთა ეკონომიკური ქცევის ბუნების გაგება და განსაზვრა.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება არ იძლევა ეკონომიკური ქცევის უდაო და სრულყოფილ განმარტებას და ეკონომიკურ თეორიაში დღემდე არ არსებობს ცალსახად ჩამოყალიბებული, საყოველთაოდ აღიარებული და უალტერნატივო ადამიანის მოდელი.

მეცნიერები ავლენენ ადამიანის ეკონომიკური ქცევისა და მისი მახასიათებლების მიმართ მიდგომათა არაერთგვაროვნებას და ადამიანთა ქცევის შესწავლის პროცესში ეფუძნებიან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ დებულებებს.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში, მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკოლების, მიმართულებებისა და ქვემიმართულების არსებობის მიუხედავად, გამოიყოფა ადამიანის დომინირებადი მოდელი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ საორიენტაციო და შესადარებელ მოდელს ყველა სხვა დანარჩენი ეკონომიკური სკოლებისა და მიმართულებებისთვის – ეს არის კლასიკური ეკონომიკური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებული და ნეოკლასიკური სკოლის ფარგლებში განვითარებული ეკონომიკური ადამიანის – "Homo Economicus"-ის – მოდელი. სწორედ ეს მოდელი ითვლება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების „მეინსტრიმის" ("Mainstream economics") ანუ ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური აზრის დომინირებადი მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლურ დოგმად, რომლის საფუძველზე კლასიკურმა თეორიამ ფორმალიზაციის უმაღლეს დონეს მიაღწია.

1. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური მეინსტრიმი

ზოგადად, „Mainstream economics" – ეს არის ისტორიული კატეგორია, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური თეორიის განვითარების გარკვეულ ეტაპს და გამოხატავსამ ისტორიულ პერიოდში ფართოდ გავრცელებულ და აღიარებულ ეკონომიკურ შეხედულებათა სიტემას, რომლისთვის დამახასიათებელია მეთოდოლოგიურად ხელოვნურად შექმნილი ენის, ეკონომიკური მეცნიერების ე.წ. „შიგა" ენის (სხვაგვარად, „მეცნიერების მეტა-ენის"ანუ „მეორე რიგის" თეორიული ენის) ჩამოყალიბება და რომელიც შესაძლებელს ქმნის ეკონომიკური მოვლენების თეორიულ დონეზე გააზრებას, გაანალიზებასა და გადმოცემას.

თანამედროვე ეტაპზე "Mainstream economics" წარმოდგენილია ნეოკლასიური ეკონომიკური მიდგომით, რომელიც ჩამოყალიბდა მარჟინალისტური რევოლუციის პერიოდში.თანამედროვე მეინსტრიმეკონომიკას საფუძვლად უდევს მთელი რიგი ექსპლიციტური (ლათ. explicite – ღია, აშკარა ანუ ღიად გამოხატული, გარე) და იმპლიციტური (ლათ. Implicitum, ინგლ. Implicit, ფრანგ. implicite ანუ ფარული, ნავარაუდევი, არ დასახელებული) წინაპირობა.

ტრადიციულ მეინსტრიმ ეკონომიკის წარმომადგენლებს, ანუ ეკონომისტ-ნეოკლასიკოსებს, აერთიანებს ეკონომიკური პროცესების კვლევის საერთო მეთოდოლოგია, რიმელიც ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ეკონომიკური ლიბერალიზმი, კონკურენციისა და საბაზრო წონასწორობის აპრიორი აღიარება, რაციონალურობისა და სარგებლიანობის მაქსიმიზირება. თუმცა დღეისათვის ჩამოყალიბდა განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა თანახმად თანამედროვე მეინსტრიმს მიეკუთვნება ნეოკეინზელობა და ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკა. ამ სკოლების წარმომადგენლებს აერთიანებს ადამიანის (ან განზოგადებულად – ეკონომიკური სუბიექტის, ინდივიდუალური ეკონომიკური აგენტების, მათ შორის სახელმწიფოს) ქცევისადმი ოპტიმიზაციის პრინციპების მისადაგება. არსებობს მოსაზრება, რომ ის განსხვავებები, რომლების ეკონომიკური მეცნიერების წამყვან (ნეოკლასიკური, კეინზური და ინსტიტუციონალური) სკოლებს შორის არსებობდა

მათი აღმოცენებისა და მე-20 საუკუნეში მათი თანა-არსებობის პერიოდში, 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვან წილად აღმოფხვრილ იქნა და ჩამოყალიბებდა „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკა" („New mainstream economics"). ამასთან, „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკა" არ ღალატობს ტრადიციას და მის ფარგლებშიც ნეოკლასიკური მიმართულება კვლავინდებურად წამყვან პოზიციებს იკავებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკის" ჩამოყალიბების საკითხი არ არის მარტივი და ასეთი შეხედულებაარარისუალტერნატივო.საკმარისიაგავიხსენოთ, პირველ რიგში, „ნეოკლასიკური სინთეზი", რომლის ძირითადი პრინციპი იყო შემოთავაზებული ჯერ კიდევ 1937 წელს **ჯონ რიჩარდ ჰიკსის** (John Richard Hicks, 1904-1989) მიერ, ხოლო ათი წლის შემდეგ, 1947 წელს, საბოლოო სახე მიიღო **პოლ ენტონ სამუელსონის** (Paul Anthony Samuelson, 1915-2009) „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლებში", შემდგომში კი, ანუ მე-20 საუკინის 40-ანი წლების დამლევსა და 50-ან წლებში ასახა კეინზური ეკონომიკური თეორიის ჩართვა ნეოკლასიკურ დოქტრინაში. მოგვიანებით კი, ანუ მე-20 საუკინის 50-60 წლებში, კეინზელობის ერთ-ერთმა მიმართულებამ - ორთოდოქსურმა კეინზელობამ - დაიკავა წამყვანი პოზიცია ეკონომიკურ მეცნიერებაში და გამოვიდა „მეინსტრიმ ეკონომიკის" როლში. მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი პოზიციის დიდი ხნით შენარჩუნება და გასული საუკუნის 70-ან წლებში შეცვლილი იქნა ორთოდოქსალური მონეტარიზმით და ნეოკლასიკური მაკროეკონომიკით. თავისი პოზიციის დაბრუნება კეინზელობამ შეძლო მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდეგ, მაგრამ ისევ მეინსტრიმის (თუმცა ამჯერად უკვე „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკის") ფარგლებში. განსხვავებული „ბედი" ეწია ინსტიტუციონალურ ეკონომიკას, როცა მე-20 საუკუნის 80-ან წლებში ის შევიდა მეინსტრიმ ეკონომიკაში ნეოკლასიკური თეორიის ინსტრუმენტარის, მ.შ. ნეოკლასიკური თეორიის მეცნიერების მეტა-ენის, ათვისების წყალობით.

ამასთან, თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული თეორიების მრავალსახეობის, მათი კლასიფიკაციის სირთულისა და თანამედროვე ეკონომიკური კვლევების კერძო პრობლემებზე კონცენტრირების გამო, ზოგჯერ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ეკონომიკურმა მეინსტრიმმა დაკარგა თავისი როლი, რომ მან საერთოდ შეწყვიტა თავისი არსებობა. ამგვარი შეხედულებები არ ითვალისწინებენ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ დღემდე შენარჩუნებულია ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც ემყარებიან ეკონომიკური აგენტების ოპტიმიზაციურ ქცევას, რომლის კვლევა ხორციელდება სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციის და დანახარჯების ფუნქციის მინიმიზაციის საფუძველზე. ოპტიმიზაციური ქცევა და წონასწორული მიდგომა, როგორც ეკონომიკური კვლევის ძირითადი მეთოდი, ერთი მხრივ, და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი, როგორც ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიური ბირთვის ძირითადი კონცეპტუალური და ფუძემდებლური პოსტულატი, მეორე მხრივ, კვლავინდებურად რჩებიან თანამედროვე ეკონომიკის მეინსტრიმის წამყვან პრონციპებად. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა ეკონომისტი ეთანხმება ამ პრინციპებს. ეკონომიკურ მეინსტრიმს და მის ორთოდოქსალურ თეორიას ეწინააღმდეგება ე.წ. ჰეტეროდოქსალური ეკონომიკური თეორია, რომელიც არ ეფუძნება და არ ცნობს „ორთოდოქსალური თეორიის ცხოვრებისაგან შორს მდგარ საწყის წინაპირობებს" [4, გვ. 295]. ეკონომიკის ჰეტეროდოქსალური მიმართულება უარყოფს ოპტიმიზაციის, წონასწორობისა და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპს და ავითარებს საკუთარ ხედვას ეკონომიკური პროცესების კვლევისა და ადამიანი ქცევის მიმართ.

2. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი ეყრდნობა ისეთ ფუძემდებლურ პოსტულატს, როგორიცაა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი წარმოადგენს მეინსტრიმ ეკონომიკის მეთოდოლოგიური ბირთვის (hard core) ძირითად კონცეპტუალურ და ფუძემდებლურ პოსტულატს. ითვლება, რომ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმზე დამყარებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც ახასიათებს ორთოდოქსალურ ეკონომიკას, თავისი ფესვებით **ალფრედ მარშალის** (Alfred Marshall, 1842-1924) „ეკონომიკის პრინციპებიდან" ამოდის, ხოლო მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან ამ შეხედულებათა სისტებას უკვე იზიარებდა არა მხოლოდ ნეოკლასიკური სკოლის ეკონომისტთა უმრავლესობა, არამედ ამათუ იმ დონით სხვა სკოლების წარმომადგენლებიც.

მიუხედავად მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის ფართო აღიარებისა, დღემდე არ არსებობს მისი ცალსახა განსაზღვრა. თუმცა, თუ შევაჯამებთ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის დღეისთვის არსებულ განმარტებებს, შეიძლება გამოვყოთ საერთო მნიშვნელი, როგორიცაა ეკონომიკური მოვლენების ახსნა ეკონომიკური სუბიექტების ინდივიდუალური ქცევის საფუძველზე.

ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, ცნობილი მეცნიერი და ეკონომიკური აზრის ისტორიის პროფესორი **მარკ ბლაუგი** (Mark Blaug, 1927-2011) თავის ნაშრომში „ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია ან როგორ ხსნიან ეკონომისტები" განსაზღვრავდა მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს, როგორც წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ყველა სოციალური მოვლენა შეიძლება იქნას დაყვანილი ინდივიდუალურ ქცევამდე [1; 14,გვ.320].

ანალოგიურ შეხედულებას მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის თაობაზე იზიარებდა აგრეთვე მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი ფილოსოფოსი, ავსტრიასა და ბრიტანეთში მოღვაწე სოციოლოგი **კარლ პოპერი** (Karl Raimund Popper, 1902-1994). თავის ორ ტომად გამოცემულ ნაშრომში „ღია საზოგადოება და მისი მტრები" ("Open Society and its Enemies") კ.პოპერი წერდა, რომ „ყველა სოციალური მოვლენა და განსაკუთრებით სოციალური ინსტიტუტების

ფუნქციონირება უნდა იქნას გაგებული, როგორც ადამიანთა ინდივიდების გადაწყვეტილების შედეგი“ [9].

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიდგომიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ქცევა წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური მოვლენების შინაგანი ბუნების გაგების ძირითადი მაჩვენებელი, როგორც ეკონომიკური მოვლენების შინაგანი ბუნების მთავარი ატრიბუტი. ამასთან, ეს ეკონომიკური მოვლენები განიხილება არა მარტო მიკრო, არამედ მაკრო დონეზე და ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემებიც, როგორიცაა უმუშევრობა, ინფლაცია და სხვ. აგრეთვე აიხსნება ინდივიდუალური ქცევის საფუძველზე [10, გვ. 670]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა მეცნიერებიც (იხ. 5; 8; 11 და სხვ).

ამასთან, ინდივიდის ქცევა ეფუძნება და აიხსნება იმ თავისებურებებით, რომლების „მიეწერება“ ეკონომიკურ სუბიექტს. ანუ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი ინდივიდის ქცევას ხსნის ეკონომიკური სუბიექტისათვის გარკვეულ „იმანენტურ“ თვისებებით. ეკონომიკის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელები სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ინდივიდის (ეკონომიკური სუბიექტის) ქცევაზე მოქმედ მახასიათებლებს და ამ მრავალფეროვან შეხედულებებში ეკონომიკური სუბიექტი (ინდივიდი) წარმოდგენილია, როგორცადამიანის აბსტრაქტული მოდელი, რომელშიც ადამიანი მიისწრაფის საკუთარი კეთილდღეობის მიღწევისა და საკუთარი სარგებლიანობის ზრდისკენ.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი – ეს არის თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ გამოყენებადი ანალიტიკური ხერხი, რომელიც განიხილავს მიკრო და მაკრო დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, ანუ რაციონალური, დამოუკიდებელი (ავტონომიური) და თანასწორუფლებიანი „ეკონომიკური ატომების“ ეკონომიკურ ქცევას და ამის საფუძველზე შეისწავლის და ხსნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს.

მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული შეხედულებათა (დოქტრინებისა და პოსტულატების) სისტემა ინარჩუნებს მყარ პოზიციებს ეკონომიკური მეცნიერების სივრცეში და დღემდე არ არის ჩამოყალიბებული მეტნაკლებად კარგად დამუშავებული და აღიარებული ალტერნატიული მეთოდოლოგიური მიდგომა, თუმცა ასეთ მცდელობებს ნამდვილად აქვს ადგილი. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორიის ფარგლებში შექმნილი და ფარტოდ გავრცელებული ადამიანის მოდელი დღემდე რჩება საყოველთაოდ აღიარებულად.

3. ადამიანის მოდელი და აკრონიმების მნიშვნელობა

ტრადიციული მიკროეკონომიკური ორთოდოქსალური თეორია განიხილავს ადამიანს (უფრო ზუსტად — ადამიანთა ქცევის აბსტრაქტულ მოდელს, რომელმას „Homo Economicus”-ის ანუ „ეკონომიკური ადამიანის“ სახელწოდება მიიღო), როგორც დამოუკიდებელს, ასოციალურ, ეგოისტურ, რაციონალურ არსებას, რომელსაც გააჩნია სტაბილური და ეგზოგენური უპირატესობები და რომელიც ყოველ კონკრეტულ მომენტში ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას არსებული ვითარებების შესახებ და საკუთარი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ახორციელებს ამ ინფორმაციის გამოყენებას სარგებლიანობის მაქსიმიზირების მიზნით.

ეკონომიკური ადამიანის აღნიშვნისათვის გამოიყენება **უილიამ მაკლინგისა** (William H. Meckling, 1922–1998) და **კარლ ბრუნერის** (Karl Brunner, 1916–1989) მიერ [3; 6] შემოთავაზებულიაკრონიმიREMM(“Resourceful,Evaluative, Maximizing Man” ანუ მოხერხებული, შემფასებელი, მაქსიმიზაციაზე მიმართული (ორიენტირებული) ადამიანი). ადამიანისადმი ამგვარი მიდგომა განიხილავს ადამიანს, როგორც „ჭკვიან მექანიზმს“, რომელსაც ყოველთვის შეუძლია „გამოიმუშაოს“ საკუთარი სარგებლიანობის მაქსიმიზაციაზე მიმართული იდეები.

მაკლინგისა და ბრუნერისმიერ შემოთავაზებული აკრონიმის REMM ნაირსახეობას წარმოადგენს სხვა აკრონიმი – RREEMM („Resourceful, Restricted, Expecting, Evaluating, Maximizing Man”) [12; 13], რომელიც მაკლინგისა და ბრუნერის მიერ მოცემულ ადამიანის მახასიათებლებს ამატებს კიდევ ორ მახასიათებელს – „Restricted“ ანუ „შეზღუდულს“ და „Expecting“ ანუ „მოლოდინში მყოფს“.

აკრონიმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მოდელი, რომელიც, ამჯერად, სოციოლოგიაში ჩამოყალიბდა და „სოციოლოგიური ადამიანის“ სახელწოდება მიიღო.

ჰოლანდიელი სოციოლოგის **ს.ლინდენბერგის** (Siegwart Michael Lindenberg, დაიბ. 26.12.1941) [7] მიერ შემუშავებულია „სოციოლოგიური ადამიანის“ ორი მოდელი [15, გვ.51–72]. ერთი მათგანი გამოისახება აკრონიმით SRSM (“Socialized, Role-Playing, Sanctioned Man”) ანუ სოციალიზირებული, როლის შემსრულებელი, სანქციებით შეზღუდული ადამიანი. ეს მოდელი ახასიათებს ადამიანს, როგორც გარკვეულ როლზე ორიენტირებულ, სოციალურად დეტერმინირებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია გარკვეული ვალდებულებები საზოგადოების თუ სხვა ადამიანების მიმართ. ამ მოდელში ადამიანის ქცევა მეტნაკლებად განსაზღვრულია იმ როლით, რომლის შესრულებაც მას უწევს. ამგვარი განსაზღვრულობა პროგნოზირებადს ქმნის პიროვნების ქცევას. მაგრამ იმ შემთხვევისთვის, თუ კი ადამიანი ამა თუ იმ მიზნის გამო „გადაუხვევს“ მის მიერ შესასრულებელ როლს, ძალაში შედიან სანქციები, რომლებიც აკავებენ პიროვნებას საკუთარი როლის ფარგლებში.

„სოციოლოგიური ადამიანის“ მეორე მოდელი გამოისახება აკრონიმით OSAM („Opinionated, Sensitive, Acting Man”) ანუ საკუთარი შეხედულებების მქონე, მგრძნობიარე, მოქმედი ადამიანი. თავად ავტორი აკავშირებდა ამ მოდელს ემპირიულ სოციოლოგიასთან ანუ შეხედულებებზე, ცხოვრებისეულ პოზიციებზე დაფუძნებულ ქცევასთან. ამ მოდელის მიხედვით პიროვნება მოქმედებს საკუთარი შეხედულებების მიხედვით. მაგრამ ვინაიდან ეს პიროვნება არის მგრძნობიარე, მის შეხედულებებზე ადვილად ახდენს გავლენას გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენები.

როგორც ვხედავთ, ს. ლინდენბერგის მიერ შექმნილ „სოციოლოგიური ადამიანის“ მოდელებს არაფერი საერთო არ გააჩნია ეკონომიკურ ადამიანთან და ამგვარად სოციოლოგიის ფარგლებში შემუშავებული წარმოდგენა ადამიანზე და მის ქცევაზე ავსებს და სრულყობს ეკონომიკური მეცნიერებაში შექმნილ ადამიანის მოდელს.

როგორც გერმანელი მეცნიერი რ. ბლუმი (Rodney Leland «Rod» Blum, დაიბ. 26.04.1955) აღნიშნავს, საზოგადოებრივი მეცნიერების ყოველ მიმართულებას გააჩნია საკუთარი „Homo logicus» [2] და დღეს ადამიანის ქცევა განიხილება, როგორც ინტეგ-რირებული თეორიული მიდგომის საფუძველი, რომელიც აერთიანებს ისეთ მეცნიერულ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია, თეოლოგია, კულტუროლოგია და სხვ.

დასკვნა

ადამიანის ქცევის მოდელი წარმოადგენს ფუძემდებ-ლურ და სისტემაშემქმნელ ელემენტს თანამედროვე ეკონ-მიკური თეორიის ნებისმიერი მიმართულებისათვის. ყველა ეკონომიკური სკოლა ავითარებს ადამიანის ისეთ მოდელს, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ წარმოაჩენს ამ სკოლის, როგორც თეორიული სისტემის, წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ან უნდა ფუნქციონირებდეს ეკონომიკა, თუ როგორ და რის საფუძველზე ვითარდება ან უნდა ვითარდებოდეს საზოგადოება და ამგვარად გამოხატავს ამ ეკონომიკური სკოლების თუ თეორიული სისტემების წარმომადგენელთა მსოფლმხედველობას საზოგადოების მოწყობასა და განვითარების შესაძლებლობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Blaug M.,** 1980, The methodology of economics, or How economists explain.
2. **Blum R.,** Die Zukunft, (1991) des Homo oeconomicus // Das Menschenbild der okonomischen Theorie / Hrsg. Von B. Biervert, M. Held. Frankfurt a. M.; New York.
1. **Brunner Karl, William H. Meckling,** 1977, The Perception of Man and the Conception of Government, Journal of Money, Credit and Banking Vol. 9, No. 1, Part 1 (Feb., 1977), pp. 70-85.
2. **Dequech David,** 2007, Neoclassical, mainstream, orthodox, and heterodox economics, Journal of Post Keynesian Economics, Taylor & Francis Journals, vol. 30(2), pp. 279-302.
3. **Gintis H.,** 1987, Review on Analytical Marxism by John Roemer // The American Political Science Review, 81 (3), Sep., 1987, P. 983-985.
4. **Jensen M.C., Meckling, W.H.,** 1976, Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure. Journal of Financial Economics, 3, 305-360.
5. **Leibenstein H.,** 1976, Beyond the Economic Men: A New Foundation for Microeconomics. ISBN 9780674068926, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
6. **Lucas, Robert,** 1976, Econometric Policy Evaluation: A Critique, in Brunner, K. & Meltzer, A., The Phillips Curve and Labor Markets, vol. 1, Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy, New York: American Elsevier, ISBN 0444110070, Pp. 19–46.
7. **PopperK. R.,** 1945, Open Society and its Enemies, Vol. 1.
8. **Toboso F.,** Institutional individualism and institutional change: the search for a middle way mode of explanation. // Cambridge Journal of Economics, 25 (6), November, 2001.
9. **Udehn L.,** The Changing Face of Methodological Individualism. // Annual Review of Sociology, 2002, 28. P. 479–507.
10. **Автономов В. С.,** 1998, Модель человека в экономической науке. СПб.: Экономическая школа.
11. **Автономов В. С.,** 1998, Модель человека в экономической теории и других социальных науках. В кн.: Истоки. Вып. 3. М.: ГУ-ВШЭ. С. 24-71.
12. **Блауг М.,** Методология экономической науки, или Как экономисты объясняют. Пер. с англ. / Науч. ред. и вступ. ст. В.С. Автономова. -М.: НП «Журнал Вопросы экономики», 2004. - 416 с., გვ.320.
13. **Бруннер К.,** 1993,Представление о человеке и концепция социума: два подхода к пониманию общества. THESIS. Т. 1. №. 3. С. 51-72.

METHODOLOGICALINDIVIDUALISM AND HUMAN MODEL IN ORTHODOX ECONOMIC THEORY

TAMILA ARNANIA-KEPULADZE
Professor
Akaki Tsereteli State University, Georgia
tamila.arnania@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.011

KEYWORDS: ECONOMIC MEN, ECONOMIC BEHAVIOR, METHODOLOGICAL INDIVIDUALISM, HUMAN MODEL, ORTHODOX ECONOMIC THEORY

SUMMARY

Today it is widely recognized that the economic development is largely determined by the decision taken by economic agents.

Modern economic science does not provide an undeniable and perfect definition of economic agents' economic behavior and a universally recognized and having no alternative model of human behavior is not yet formulated in the economic theory.

Scientists proceed from the different methodological approaches and use various characteristics for the development perceptions regarding human behavior.

Despite a large number of scientific schools, directions, and divisions of modern economic theory, there is a dominant model of human behavior which represents a specific orientation and comparable model for other economic schools – this is the model of Homo Economicus that arose within the classical economic theory and was developed by the neoclassical economic school. This model is considered to be one of the founding dogmas of the modern Mainstream Economics in which the classical economic theory has reached the highest level of formalization.

The given article considers the peculiarities and interconnections of orthodox economic theory and Mainstream Economics and mentions that along of evolution of their interrelations the optimization behavior, the principles of minimizing expenses and maximize of a profit still remain to be a general methodological approach.

The modern economic mainstream is based on the fundamental postulate such as methodological individualism that is most widely used an analytical method in modern economic science. According to methodological individualism, the human behavior is the main indicator of the nature of economic phenomena.

The traditional microeconomic orthodox theory considers human beings as independent, associative, selfish, and rational species, which have stable and exogenous preferences and in every particular moment have full information about the current situation and use the information in order to satisfy own egoistic interests with a purpose to maximize a benefit.

To define the model of economic men the acronym REMM (or «Resourceful, Evaluative, Maximizing Man») proposed by Karl Brunner and William H. Meckling is used. Based on the development of the acronym REMM the acronym RREEMM (or „Resourceful, Restricted, Expecting, Evaluating, Maximizing Man") was developed. Other models of human behavior were developed by a sociologist Siegwart Michael Lindenberg. He distinguishes two types of human behavior and presents them by acronyms SRSM (or "Socialized, Role-Playing, Sanctioned Man") and OSAM (or "Opinionated, Sensitive, Acting Man").

The human behavior model is a fundamental and systematic element for any direction of the modern economic theory. Every economic school develops its own model of human behavior that best illustrates this school as a theoretical system.